

მწევესი

1888-1889

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი :

«მწევესი»

«მწევესი» რუსული გამოცემით

12 თვეით 5 მან.

12 თვეით 6 მან.

6 — 3 —

6 — 4 —

გაზეთის დულს და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *въ редакцію, въ контору редакціи „Мѣстѣи“ (Частью).*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილი დასაბეჭდავად, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან სელ-მოწერილი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის სარწმინდოთ უკანვე დაებრუნოს. სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზე და წერილებიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

«მწევესი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის იხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

მღვდლის ავტორიტეტი (პატივი და ბავლენა).


(დასასრული *).

მთუ ჩვენ ხალხს არ შეუძლია ერთბაშად მიენდოს გულითა და სულით თავის კეთილს მწევესს, სანამ არ გაიცნობს მასს, ამაში მისი გამტყუნება არ შეეგვიძლია მხოლოდ იმიტომ, რომ მას არათუ არავესგან არ მიუღია თანაგრძნობა და სიყვარული, არამედ ის იყო ყველასაგან დაგდებული ბედის ანაბარაზედ. პირნი, რომელნიც ბევრად თუ ცოტად დაახლოვებულნი იყვნენ მასთან, უცქერდნენ მას მედიდურად და, თუ რამეს აკეთებდნენ, მხოლოდ სარგებლობდნენ მათგან ნივთიერად და სარგებლობენ კიდევ ცხლაც. ხალხს არ შეეძლო არ შეეგნო, რომ იგი ყველასათვის უცხოა, რომ მას არსაიღამ არ მოეღოს სიყვარული, თანაგრძნობა და თითქმის

სამართლიანი და მოკიდებულება თავისთან, რომ მან ყველაფერი უნდა მოიპოვოს თავისთავში. აი ამიტომაც, სხვათა შორის, იგი ასე მჭიდროდ და მაგრად არის დაკავშირებული და შეთვისებული თავიანთ წვერთა შორის, ასე რომ რამე შეურაცხების დროს ერთი მისი წვერისა ვისმესაგან, მისდა დასაცველად წარმოსდგება, როგორც ერთი კაცი, მთელი საზოგადოება და ხშირად გადაუდგება ხალხე კანონსაც კი, არა კანონის წინააღმდეგობისათვის, არამედ თავის დაცვის გრძნობისა გამო, რომელიც თან ახლავს ყოველს ღეთისმიერ განჩინილს არსებას. ხალხი დაჩეუულია არ ენდოს არავეს, ეინც მისი წოდების არაა, იგი ამ შემთხვევაში წმინდად სკვბტიკოსია (ეკვიანი); მაგრამ ეს სკვბტიკოსობა გამოწვეულია მათში არა ბუნებით, არამედ მისი ისტორიული, საზოგადოებრივი და საშინაო ცხოვრებითა.

მართი სიტყვით, მწევესნი მართლმადიდებელის ეკლესიისა ისე უნდა იყვნენ გამსჭვალულნი თავიანთის დიდსა სამსახურის იდეითა, რომ გულითა და

*) იხ. «მწევესი»-ს № 16 და 16.



სულით უნდა შეიყვარონ თავიანთი სამწყსონი და ემსახურებოდნენ მათ მიუხედავად იმისა, უყვარს და ენდობა თუ არა სამწყსონი მათ. თავიანთ გულ-გრილობაში არ უნდა იმართლებდნენ თავს ხალხის უმეცრებით და უნდობლობით. აი მაშინ გაუჩნდება ხალხს სიყვარული და ნდობა თავისის მწყემსისა, როდესაც დაინახავს მისი მხრით ერთგულს მოღვაწეობას მისი სულიერ და ზნეობრივ განათლებისათვის, მაშინ მიენდობა ხალხი მწყემსს სულითა და გულით, როდესაც დაინახავს, რომ იგი არ არის მისთვის უცხო კაცი, რომელიც მხოლოდ ნიეთიერის სარგებლობისათვის შრომობს მისთვის. სახელდობრ მწყემსი ყოველთვის ჰეშმაროვებდა უნდა მწყობდეს, დარჩეს ესრეთი მაშინაც, როდესაც იგი თავის მოქმედებათა წარმატებას ვერ ნახავს. სრული წარმატება არც კია მოსალოდნელი მწყემსის მოღვაწეობაში, მის შეუმუშავებელ ყანაში. ყოველ საქმეში საჭიროა დრო და შრომა, განსაკუთრებით საჭიროა დრო და შრომა მწყემსის მოქმედებაში სამწყსოზე. კაცი მანქანა კი არაა, რომ ერთბაშად დაიმორჩილოს იგი კაცმა. უმეცრება და გაუნათლებლობა ხალხის არც ისეთი მიუდგომელია, რომ ყოველივე მწყემსის მოქმედება უნაყოფო დარჩეს მათ წინააღმდეგ. უმეცრება და გაუნათლებლობა ხალხში უფრო გარეგანი მოვლენაა, ხოლო გული კი მას გმირული აქვს—კეთილი და სული დიდი, მას სულითა და გულით უყვარს მართლ-მადიდებელი სარწმუნოება, თუმცა ღრმად კი არ ესმის მას იგი და უფრო გარეგანად უყურებს,—და აი სწორედ ეს არის იმედის ნიშანი მწყემსის წარმატებისა მის მოღვაწეობაში.

**იმერეთის საგლედელოების დავუბატონა ქრება
მ. მუთაისში.**

შოგლად სამლედელო იმერეთის ეპისკოპოსის ბაბრიელიისაგან მუთაისის სასულიერო სასწავლებლის საქმეების შესახებ იყო დანიშნული იმერეთის სამლედელოების კრება წარსული თთვის აგვისტოს 11, 12 და 13 რიცხვებში. დანიშნულ დროს მოგროვდნენ დეპუტატნი. 11 რიცხვს წინა კრების ყოფილმა თავმჯდომარემ მ. მ—ძემ შეამოწმა რიცხვი დეპუტატთა და აღმოჩნდა საკმაო რიცხვი დეპუტატთა კრების გასახსნელად. დეპუტატები შეუდგნენ ახალი თავმჯდომარის და საქმის მწარმოებელის აღრჩევას. კრებამ დანიშნა თავმჯდომარედ მ. ი. აბესაძე. 12 რიცხვს, დილით დეპუტატები მოგროვდნენ სასწავლებელში; თავმჯდომარე მ. აბესაძე შეუდგა საქმეების განხილვას. ძრებას უნდა განეხილა შემდეგი კითხვები: 1) დამტკიცება მომავალი წლის სასწავლებლის შესანახავად საჭირო ხარჯისა; 2) დამაგრება სასულიერო სასწავლებლის გაბზნილი კედლებისა, რომელნიც ამ უკანასკნელ წლებში დიდად დაზიანებულნი შეიქმნენ; 3) ორი მანეთის დრამის მაგიერ მიღება ძველებურად ხორაგისა, რომელი კითხვაც აღძრული იყო სოფლის ოკრების ერთი საზოგადოებისაგან უმაღლესად მირთმეული თხოვნისა გამო. სმეტა მომავალი წლისათვის კრებამ, შემდეგ განხილვისა, დამტკიცა ზოგიერთა ცვლილებათა მოხდენით; სახელდობ სმეტით ითხოვებოდა 450 მანეთი ეკონომის ჯამაგირად, მაგრამ კრებამ უარი განაცხადა ამაზედ, რადგან ეკონომის დანიშნა ბოროტებას არ მოსპობდა და ნაცვლად ამისა მოვალეობად დაედგინა სასწავლებლის სამმართველოს წევრთ, რომ მათ რიგობით ყოველს დილით საჭირო დროს იარონ სასწავლებელში და ყოველთვინ შეამოწმონ ნასყიდი ნიეთების როგორც წონა, აგრეთვე ვითარება ნასყიდთა ხორაგეულობათა, რომელსედაც ღლეძის, როგორც შეიტყო კრებამ, ყურადღება არ ყოფილა მიქცეული. ძრებამ გარდასწყვიტა, რომ სასწავლებლის სამმართველოს წევრებმა ამ საგნისათვის იქონიონ წიგნი და მასში ნიშნონ, თუ რომელ რიცხვში რა იქმნა ნასყიდი, რა წონისა და რა თვისებისა და სხვანი...

ძრებამ სასწავლებლის დაზიანებული კედლების დამაგრებისათვის ჯერ-ჯერობით საკმაოდ ჩასთვალა ის



ზომები, რომელიც მიუღია სასწავლებლის სამმართველოს და კიდევ გაუმაგრებია ცვლელი არქიტექტორის ბილეთელის მოსაზრებათა თანახმად.

ორი მანეთის ღრამის მაგიერ ხორაგის მიღებაზე დადგინდა: «რადგან მარტო ერთი საზოგადოებრივად უმალესად მირთმეული თხოვნა არ შეადგენს საზოგადო თხოვნას მთელი იმერეთის საზოგადოებისას. ამისათვის გამოეცხადოს მათ უარი, თუმცა სამღვდლოება იმერეთისა კი თანხმა იქმნებოდა ძველებურად ხორაგის მიღებაზე და მოგებულიც დაჩივბოდა, მაგრამ კრებამ საუმჯობესოდ დაინახა ორი მანეთის ღრამის მიღება».

კრებისაგან იქმნა აღრჩეული ახალი წევრი სამღვდლოების მხრით; ხელ-ახლა გახსნეს დასაწყისი მოსამზადებელი კლასები, რომელნიც მარშან იქმნენ დახურულნი, მაგრამ იმა ყმაწვილების მშობლების ხარჯით, რომელნიც იქმნებოდნენ ამ კლასებში შეყვანილნი.

ამ კრებაზე დადგინდა ერთი კეთილი საქმე, რომელიც საუკუნო მოსაგონებლად გახდის ამ კრების დეპუტატების სახელს. აი საქმე რა ში: კრებაზე დეპუტატმა დეკ. დ. ლამბაშიძემ განუმატა სამღვდლოებას მიუკილებელი საქაროება ქალების სასწავლებლისა, უჩივრა კრებას საზუალება და წყაროები ამ სკოლის შესანახავად, მიუთითა ადგილი, თუ სად შეიძლება ქალების სკოლის გახსნა. მრთი სიტყვით, ამ საგნის შესახებ ყველა მოსაზრება დაუყენა სამღვდლოებას წინ. დეპუტატებმა დიდის თანაგრძნობით მიიღეს ეს წინადადება.

კრების სხდომის უკანასკნელ დღეს შემობრძანდა ყოველად სამღვდლო, იმერეთის ეპისკოპოსი ბაბრიელი და სამღვდლოებას განუმატა სანთლის ეპრობის სარგებლობა ეკლესიების და სასწავლებლებისათვის და ენება ყალბის სანთლის ხმარებისა. ჩვეულებრივად მისცა დარიგება სამღვდლოებას მათი მოვალეობის მტკიცედ აღსრულებისათვის. დარიგების გათვების შემდეგ დეკ. ლავით ლამბაშიძე წამოაღდა და მოახსენა შემდეგი სიტყვა მღვდელ-მთავარს: «თქვენო ყოველად უსამღვდლოესობავე, მოწყალეო მწყემსმთავარო! იმერეთის ეპარქიის სამღვდლოება არასოდეს არ დაიფიწებს თქვენს ღვაწლს და შრომას, რომელიც თქვენ მის გონებითად და ნივთიერად გაუმაჯობესობისათვის ჩაიდინეთ. ზევი წარმატება მიენიჭა მას თქვენგან ამ ოც-და-ათი წლის განმავლობაში, მაგრამ ერთი რამეს უმეკონლობა ძლიერ აწუხებს ჩვენს სამღვდლოებას. კარგად მოგხსენება, თქვენო ყოველად უსამღვდლოესობავე, რომ

მთელს რუსეთის იმპერიაში გარდა ჩვენი დასავლეთი საქართველოს ეპარქიებისა ერთი ეპარქია არ მოინახება, რომელშიაც ექვს კლასიანი და ოთხ-კლასიანი საქალებო ეპარქიალური სასწავლებელი არ იყოს. ჩვენი გლეხებიც კი ცდილობენ თავიანთ ქალებს განათლება მიანიჭონ და ამისათვის სკოლებს ხსნიან. ჩვენს სამღვდლოებას კი არა თუ ექვს და ოთხ-კლასიანი საქალებო სასწავლებელი არა აქვს, ერთ-კლასიანი ქალების სასწავლებელიც არ მოინახება ეპარქიაში. ქველა ჩვენ ამ კრების დეპუტატებმა ჩვენი მარწმუნებლებით-თურთ ოც-და-ათი წლის თქვენის ნაყოფიერი და ხანგრძლივის სამსახურის პატივსაცემად განვიზრახეთ ორ კლასიანი მოსამზადებელი კლასებითურთ ეპარქიალურის ქალების სასწავლებლის გახსნა მუთაისში თქვენი სახელ-წოდებით. ამ სასწავლებლის გახსნისათვის ამ თავეთვე ჩვენ ვსწირავთ ათი ათას მანეთს სახელმწიფო ბანკის ბილეთებით, რომელიც სამღვდლოებას აქვს დღეს თვალად და სხვა წყაროების გამოინახვას მალე შეუძლებით. სრული დარწმუნებული ვართ ჩვენ, სამღვდლოება, რომ ამ საქმეს თქვენივე შემწეობით და დახმარებით დააგვირგვინებთ. სამღვდლოება დამედებულია, რომ ამ კეთილი საქმის განხორციელებისათვის დაუთმობთ სამღვდლოებას სტრუქციის სეულს მამულს, რომელი მამულისაგან არავითარი სარგებლობა სასულიერო უწყებას არა აქვს რა, თუმცა იგი მამული ძვირად ღირს და მშვენიერ ადგილზედაც არის. ეს სასწავლებელი ნიადაგ დაჩივბა სამღვდლოებას თქვენის მამობრივი მზრუნველობის და სახელის მოსაგონებლად».

ყოველად სამღვდლო ბაბრიელმა დიდის ყურადღებით მოისმინა მოხსენება მ. ლამბაშიძისა და დიდი მოხარული და მადლობელი დარჩა მამა დეპუტატებისა ამ გეარ კეთილ და სასარგებლო მოსაზრებისათვის. მისმა მეუფებამ ბრძანა, რომ ის თანხმა იქმნება ამანზე და თავის მხრით დაეხმარება სამღვდლოებას ამ კეთილი საქმის სისრულეში მოყვანისათვის.—ამის შემდეგ ყოველად სამღვდლო წაბრძანდა. კრებამ სიგელით დაადგინა გახსნა ორ-კლასიანი საქალებო სასწავლებლისა—იმერეთის ეპისკოპოსის ბაბრიელის ხანგრძლივი სამსახურის პატივსაცემად შემდეგი სახელ-წოდებით: იმერეთის ეპარქიის გაბრიელას საქალებო სასწავლებელი. კრებამ ამ სასწავლებლისათვის დანიშნა ათი ათასი მანეთი სამღვდლოებისა, რომელნიც სასწავლებლის კასსაში იმეკონებინა, სახელმწიფო ბილეთებით; კრებამ დაადგინა ეთხოვოს ყოველად

სამღვდელთა ბაბრიელს სტრუიციუსაგან შემოწირული მამული ყოველივე შენობებით გარდაეცეს იმერეთის სამღვდელთაგან; იშუამდგომლოს მისმა მეუფებამ უმაღლესი მთავრობის წინაშე ორ-კლასიანი საქალებო სასწავლებლის გახსნის ნება-რთვის მოცემაზედ; იქმნენ ამ საგნის შესახებ დანიშნულნი კომიტეტის წევრებად დეკანოზნი: დ. ლამაშიძე, ბაბრიელ ცაგარევიშვილი და მღვ. ი. შვიშვილი და მდივანი იმერ. ეპარქიის კანცელარიისა ბ. შ. თუთბერიძე. კომიტეტის წევრთ დედგინათ მოვალეობად კრებისაგან: მიიღონ სტრუიციუსაგან შემოწირული მამული და გამოძებნონ, გარდა ათი ათასი მანეთისა, წყაროები შესანახავად საქალებო სასწავლებლისა.

მარტო ამ საქმით ძლიერ შესანიშნავია ეს უკანასკნელი კრება იმერეთის სამღვდელთაგან.

დამსწრე.

ათონის იოანე ღვთის-მეტყველის ქართველთა საპანის ძმათა რიცხვი.

ჩვენ მივიღეთ ათონის ქართველთა საპანის ძმათაგან შემდეგი წერილი «მწყემსში» დასაბეჭდათ:

«მ. რედაქტორო! ამას წინათ გაზეთს «ივერია»-ში ვილაპ ამტკიცებდა, რომ დღეს ვითომ ათონის იოანე ღვთის-მეტყველის ქართველთა საპანეში ვიყოთ ორმოცდა ათი ძმანი. ეს ტყუილია. აი სია ათონის ივერიის საპანის ქართველთა ძმათა:

მღვდელ-მონაზონნი: 1) თეოდოსი (ერისთავი გაენათის მონასტრიდამ), 2) გერასიმე (ზოგოლაშვილი გაენათილამ), 3) იონა (ხოშტარია სუფუნაილამ), 4) ივანე (კახეთილამ იოანე ნათლისმცემლის მონასტრიდამ) და 5) ბაბრიელ (გურიილამ).

დიდი სქემოსანი მონაზონნი: 6) ლუკა (თბილისილამ), 7) გერასიმე (საჭკონდილოლამ), 8) გერმანე (ხოპილამ), 9) პირილე (მენგრელიილამ), 10) ზაქარია (ბანძილამ), 11) არსენი (კახეთილამ), 12) პართენ (გორილამ), 13) რომანოზ (რაჭილამ), 14) სვიმონ (აბაშიძე ხონილგან), 15) შილარეტი (რაჭილგან).

მონაზ. მთავარ-დააკანი: 16) ნიკიფორე (გურიილგან).

მონაზონნი: 17) პახუმი (ხეთილგან), 18) ივანე (ცილორილამ), 19) იოანე (რაჭილგან), 20) მიხაილ (კოდორილგან), 21) მარკოზ (მენგრელიილგან), 22) ბარნაბა (სამიქაოლგან), 23) პიმენი (ასათიანი, ქუთაისილგან), 24) დიმიტრი (ზუგდიდილამ), 25) პანტელეიმონ (კოდორილამ), 26) მაკარი (მენგრელიილამ).

მონაზონნი: 27) ბართლომე (რაჭილგან), 28) მიხეილ (ოზურგეთილამ). წასრულნი არიან დროებითად:

მღვდელ-მონაზონნი: 29) ბესარიონ (მენგრელიილამ), 30) ბაბრიელ (ხიდისთავილამ გურული).

მონაზ. მთავარ-დააკანი: 31) ბიორგი (ოზურგეთელი).

მონაზონნი: 32) დიონისი (საჭკონდილოლამ).

მონაზონნი: 33) მალაქია (ბეთლემელი), 34) სვიმონ (გურული), 35) სოლომონ მგალობელი (იმერეთილამ ხონელი).

მღვდლები ინგლისში.

(რუსულიდან).

ინგლისში მრევლის მღვდლის თანამდებობა ეძლევა კაცს არა ისე ჩქარა და ისე ადვილად, როგორც რუსეთში. მღვდელობის მსურველმა ყველაზედ პირველად უნდა შეასრულოს უმაღლესი სწავლა უნივერსიტეტში და მიიღოს ხარისხი ბაკალავრისა, ანუ სიტყვეერებისა მაინც. შემდეგ იგი ვალდებულია გაიაროს სრული კურსი ღვთისმეტყველებისა. როცა ეპისკოპოსი მიიღებს მღვდელობის ადგილის მთხოვნელისაგან საბუთებს, რომ მან შეასრულა კურსი ფილოსოფიის და ღვთისმეტყველების საგნებისა, მაშინ ამ სამღვდელთა პირს მიანდობს რეკტორს ანუ ვიკარონ კურატს. მორი წელიწადი ასრულებს მღვდელობის მიმღები რეკტორის მინდობილებას, მაგრამ მას უფლება არა აქვს წირვის შესრულებისა. მორი წლის შემდეგ კანდიდატი იჭერს ხელ-ახალ ეკზამენს იმ საგნებში, რომელიც უნდა იცოდეს მღვდელმა; ორი წლის შემდეგ მან უნდა მიიღოს რეკტორისაგან ქებითი ფურცელი, რომლის ძალით ეპისკოპოსი აძლევს მას



ღრამატას და ნიშნავს მრეწველი მღვდლის თანაშემწედ. მკრი წლის განმავლობაში მღვდლად განწესებული პირი უფროსი მღვდლის ხელმძღვანელობით ნახულობს ავადმყოფებს და თავის დარჩებით და ტკბილის საუბრით უმსუბუქებს მათ მწუხარებას, ნახულობს გაჭირვებულებს და აძლევს მათ, შეძლებისა და გვარად, ნივთიერს და ზნეობითს შემწეობას. ამბობს ეკკლესიაში ქადაგებას და ამ გვარის ვარჯიშობით ემზადება ნამდვილი მწყემსებრივი სამსახურისათვის. მკრი წლის ამგვარი ვარჯიშობის შემდეგ ხელახლად იჭერს ეკვამენს ეპისკოპოსთან, რომელიც ჰკრებს დაწვლილებითს ცნობებს მღვდლობის კანდიდატის ზნეობით თვისებაზედ და შემდეგ აძლევს მასს მღვდლობის ხარისხს; მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა მასს უფლება იმსახუროს ეკკლესიაში. აქედამ ცხადია, თუ რა მომზადებული იქნება ინგლისელი მღვდელი სამრევლოში შექალასათნავე. ამ გვარად მომზადებული მღვდელი ნამდვილი მწყემსი იქნება სამწყაოისათვის. ასე მომზადებული მღვდელი, რახაკირველია, უნაკლულოდ შეასრულებს თავის მოვალეობას და აცდება ყოველივე შეცდომას თავის მოქმედების ასპარეზზე.

ინგლისში მღვდლებს საზრდო ეძლევათ სამწყაოთაგან, და რადგან ინგლისელები სხვა ხალხზედ უფრო მდიდრები არიან, ამიტომ საზრდოსაც ბლომად აძლევენ თავიანთ მღვდლებს. თვით უღარიბესი მრეწელი აძლევს თავის მღვდელს 50 გირვანქა სტერლინგს (350 მან.) გარდა ამისა შემოსავალს ადგილებისათვის ეკკლესიაში (ათიდან თორმეტ გირვანქა სტერლინგს თვითოეულისათვის) და კეთილმანებლობითს მისაცემს რომელიმე მღვდელ-მოქმედებისათვის. ისეთი სამრევლოც არის, რომელიც აძლევს თავის მღვდელს 7000 გირვანქა სტერლინგს (თითქმის 44000 მან.). მაგრამ მღვდლებს არასფერი არ რჩებათ ამ შემოსავლისაგან. მღვდელი ეწევა თავის სამრევლოს ღარიბთა, მასთან სცხოვრობს შესაბამად მისის წოდებისა და ბლომად ხარჯავს შესაკეთებლად საეკკლესიო სახლისა, რომელშიაც სცხოვრობს. ამასთანავე დიდ ხარჯს ეწევიან, რომ თავიანთ შეილებს მისცენ უმაღლესი განათლება. ინგლისელი მღვდელი არასოდეს არ იფიწყებს, რომ მას ყველანი უყურებენ როგორც ლამაზს, ამიტომ იგი სცხოვრობს ისე, რომ მისი ცხოვრება სარკე იყოს მისი სულიერი შეილებისათვის. თვითონ მღვდლის სახლი განსხვავებულია წარმოუდგენელის სიწმიდით და წესიერებით, რადგან,

ინგლისელების ჰაზრით, საღმრთო ვალდებულების აღსრულება უნდა დაწყებულ იქნეს შინაური ცხოვრებით.

ღრო შრომისათვის ინგლისელ მღვდელს წესიერად აქვს დაწყობილი. დილის რვა საათზედ ზარის რეკით უწოდებს მთელს თავის სახლობას ლოცვისათვის. თვითონ მღვდელი კრძალულებით იყრის მუხლს, თვითონვე კითხულობს ლოცვას; ლოცვაზე ესწრებიან არა მარტო მღვდლის სახლობა, არამედ ყველა მისი მოსამსახურეებიც. შემდეგ სხდებიან საუზმეზედ. საუზმის შემდეგ მღვდელი ასრულებს მოკლე ლოცვას. ამავდროულად იგი შედის თავის კაბინეტში საკითხავად ან საწერად, ან სახლიდამ მიდის ავადმყოფების სანახავად, რომელიც შეადგენს მისი მწყემსებრივი სამსახურის უმთავრეს საგანს. მზაზედ მღვდელი ესაუბრება ყველას, ვინც კი შეხედება მას: ერთს ჰკითხავს მისი საკუთარი ჯანმრთელობის ამბავს; მეორეს აძლევს შესაფერის რჩევა-დარიგებას; მესამეს ტუქსავს ზნეობით სისუტისა და დაუდევნელობისათვის, ურჩევს, რომ სკოლაში აღზარდოს შეილები და სხვა და სხვა. შოველივე ამას იგი მოქმედობს მართებულად, მშვიდად, მოთმინებით, ხმა აუმაღლებლად. ნაშუადღევს პირველს საათზედ მღვდლის მთელი სახლობა იკრიბება მეორე საუზმის საქმეიად, რომლის წინეთ და შემდგომ მღვდელი კითხულობს ლოცვას. მაგრამ ამ ლოცვაზედ მოსამსახურე არ ესწრება. ამ საუზმის შემდეგ მღვდელი მიდის ავადმყოფების სანახავად ან აკეთებს რასმე მრეწელში. სადილის წინ, რომელიც იქნება ხოლმე საღამოს ექვსს საათზედ, მღვდლის სახლობა ტანს ჩაიცვამს შესაბამად, თითქო სტუმრებს მოვლისა და მართლადაც, იქაუბი ჩვეულებებისაგან, მღვდლის სახლში ხშირად მოპატიჟებული არიან ხოლმე გარეშე პირები. ზარის რეკაზე ყველანი შეიკრიბებიან სასაღილო ოთახში და იწყებენ სადილობას. სადილის შემდეგ გადიან მეორე ოთახში ჩაის დასალევად. თუ მღვდელს ქალიშვილები ჰყავს, მაშინ ერთი მათგანი ამ დროს უყრავს ფორტოფიანზედ. ღამის თერთმეტ საათზედ მღვდელი კითხულობს მწუხრის ლოცვას თანა დასწრებით მთელის სახლეულობისა, შემდგომ გამოეთხოვებიან ერთი-ერთმანერთს და წაველენ თავიანთ ოთახებში დასაძინებლად.

ძვირა-უქმ დღეებში წირვაზე რეკენ დილის ათ საათზედ. ზარის დარეკის შემდეგ მრეწელი იკრიბება პირველად ეკკლესიის ეზოში. მათთან მიდის მღვდელი, ცოტახანს ესაუბრება მათ რომელი-



მე საგანზე- მღვდელი, ჩვეულებისაგებ, ჰკითხავს სა-
მწყსოს, თუ რისთვის არ მოვიდნენ ან არ დადიან
ეკლესიაში მათი ცოლ-შვილი და ძმები; აგონებს
მათ აღასრულონ ეს ქრისტიანული ვალდებულება;
მაგრამ იგი ერიდება ყოველივე ნაირი საყვედურის და
უმარტებულ სიტყვის ხმარებას. მსთქვათ, მღვდელი შე-
ხვდა ეკლესიის ეზოში ლეთის-მსახურების წინეთ რო-
მელმე თავის მრევლთაგანს, რომელიც თითქმის სრუ-
ლიად არ დაიარებოდა ეკლესიაზედ. მწყემსი ეუბნე-
ბა მას: » ხომ არ გნებავს, ვსთხოვო შეკრებილებას, რომ
მან ილოცოს თქვენთვის ». « ეს რისთვის? » ეკითხება
მღვდელს გაკვირვებული კაცი. « მისთვის, მიუგებს
მწყემსმა და დაბალის ხმით მღვდელი, რომ თქვენ-
დამო უწყებულის მიზეზით, თქვენ თვითონ არასო-
დეს არ ლოცვილობთ თავისთვის და ამიტომ შეიძლება
შეგემთხვესთ თქვენ რაიმე უბედურება ».

ინგლისელები დიდ პატივს სცემენ კვირა დღეს.
ამ დღეებში აღკრძალულია მუზიკა, ცეკვა, ტიატრი,
კარტის თამაში და სხვა ამის მსგავსი შექცევა. შეგლა
მალაზიები და ღუქნები დაკეტილია. ღიღინანი არ არის,
რაც ინგლისის სამეფო კარის ზოგიერთი პირნი გა-
ზეთებში იყენენ გალანძლილი მისთვის, რომ ისინი
მართავდნენ შაბათობით კონცერტებს და ბალს და
შელამემდის ატარებდნენ დროს. ინგლისელების ბევრს
ოჯახში კვირა-უქმე დღეების წინ ამზადებენ ყოვე-
ლივე საქმელს, რომ კვირას აღარ დაჰირდესთ საქმობა.
მუჩებში მეტის მეტი მყუდროებაა. იუ მისმერაიმე დიდი
საჭიროება აქვს, რომ სადმე წაეიდეს, იგი გზაზედ მი-
დის წყნარად, თავ დახრილი. ამითი ის ხატავს, რომ
იგი რაიმე საქმისა გამო იძულებულია დაარღვიოს
საღმრთო წესდება შესახებ კვირა დღის უქმობისა.
ძვირა უქმე დღეებში თვითოეული ინგლისელი ვალ-
დებულაა უსათუოდ ეკლესიაზედ წაეიდეს და მო-
ისმინოს ქადაგება და შემდგომ გაატაროს მთელი
დღე დაბადების კითხვაში და დარჩებთი საუბარში
თავის მახლობლებთან. ამ წესს ასრულებს დიდი და
პატარა, მდიდარი და ღარიბი და ესე ყოველივე არის
წმიდა ნაყოფი ინგლისელი სამღვდლოების მწყემსე-
ბრივის მოქმედებისა.

ინგლისელი მღვდლის სრული თანაშემწე მოღვაწე-
ობაში არის მისი მეუღლე. მღვდლის მეუღლეს სკოლა
აქვს გამართული ღარიბ-ყმაწვილებისათვის და თვითონ
ასწავლის მათ. ის უგზავნის სასმელს და საქმელს იმ
ღარიბებს, რომლებიც უეცრად გახდნენ ავით, ასწავ-
ლის პატარა ქალებს ხელსაქმარს და საქმლის მომ-

ზადებას. ინგლისში ხშირად შეხედებით მღვდლის
ცოლს, რომელიც ნახევარი და ან ერთი წლის შემ-
დეგ გამოიცივლის მოსამსახურე გოგოს, მაგრამ ეს წარ-
მოსდგება არა მისი კაპასობით, არამედ სულ სხვა
მიზნით. მღვდლის მეუღლე კრებს ერთად ორ-სამ
ყმაწვილ გოგოს, ასწავლის მათ წესიერებას და ყოვე-
ლივე ოჯახის საქმეს და შემდგომ თვითონ ცდილობს
უშოვოს მათ კარგი ადგილი თანახმად მათის სურვი-
ლისა. ამის შემდეგ ხელახლად მოიყვანს ახალ მო-
სამსახურე გოგოს. მღვდლის მეუღლესთან მისამსა-
ხურედ ყოფილი ქალები არასოდეს უადგილოდ არ
რჩებიან, იგინი ყველას დიდის სიხარულით მიჰყავს,
რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ ქალი, რომე-
ლიც მღვდლის ოჯახშია ნამყოფი იქნება კეთილის
წინა და ჯერ-ჯერად ნასწავლი. თვითონ ქალებიც ცდი-
ლობენ გამოჩინონ თავი თავის სიწმინდით და შრო-
მის მოყვარეობით, რომ ისინი მიიღოს მღვდლის
ცოლმა თავის სახლში.

ბლადონ. შარბიძე.

სანიტორიო მასალა.

1650 წელში საქართველოში მოგზაურობა მეფის
აღუქსია მისხაილის მის მიერ გამოგზავნილ დესპანთა
იმერეთის მეფე ალექსანდრესთან და ამ დესპანთაგან
გელათის მანასტრის და ქუთაისის ბაგრატიან ტაძრის
აღწერა და ამ ტაძრებში მათგან ქათალიკოსის
წირვის მოსმენა.

(გაგრძელება *).

შემოსვას დროს ქათალიკოსის ხელები დადებული ჰქო-
ნდა დიაკონებზე ჯვარის სახეთ. როცა შემოსვა გაათავის,
ქათალიკოსი ჩაჯინეს საკამელში და მიართვეს კვერთხი,
არქიდიაკონი და დიაკონი მოშორდნენ ქათალიკოსს.
არქიდიაკონმა ხმა მაღლა წამოხსოთქვა ისპალა, შეძგე
არქიდიაკონი გახერდა საშუალო კარების შიშ-და-შიშ,
ტრ-ბუი იდამ წამოკვიდა შემოსილი მღვდელი, დადგა სამეუ-
ფო კარებ შუა და ჩაედილოცა, ამის შეძგე ქათალიკოსს

*) ის. «მწყემსი»-ს № 12.



მიართვეს ჯგერნი, რომელიც იდგა ხალხისაჲ. ჯგერნი მთლად რქროსკან იყო გაკეთებული. მასში იყო ჩასმული სიგრძით შეიდი ზურმუხტი, ხოლო სიგანით ოთხი. ჯგერზე აჩვიითარძე გამოხატულება არ იყო, რადგან მთელი ადგილი ამ ძვირფას ქვებს ეკავათ. საკურთხეველიდამ გამოიტანეს შინდალი, რომელშიაც ერთი სამი ხანთელი. შემდეგ მღვდელი დადგა სამეუფო კარზე შუა და ჩამოიღო. ქათალიგოსს მიართვეს ჯგერნი, რომელიც იდგა ხალხისაჲ; ჯგერნი მთლად რქროსკან იყო გაკეთებული, რომელშიაც იყო ჩასმული შეიდი ძვირფასი ქვა. ქათალიგოსმა მიიღო ჯგერნი, დაიკავა იგი მარჯვენა ხელში, ხოლო მარცხენაში ხანთელი, ასწია ჯგერნი და ხანთელი და გადასახა ჯგერნი ჯგერ სამეუფო კარებისკენ, შემდეგ მეფისკენ მთელი მარჯვენა მხარე, ხეც შემდეგ გადასახა ჯგერნი მარცხნივ. მერე ჯგერნი და ხანთელი მისცა დიკონს, რომელმაც იგინი წაიღო საკურთხეველში და ჯგერნი დასვენეს ტრახეზიკედ. ამის შემდეგ არქიდიაკონმა იწყო წიწვა თავისებურად და მღვდელმა იწყო საკურთხეველში, აშვირა ხელები ზემოთ და წარმოხტვა კურთხეულანს მეუფება... ქათალიგოსმა აღიზურა ხელნი მძღა და დაიკონმა იწყო კვერქისი. კვერქისის შემდეგ უფალო შეგვიწყალებს არა გალობდენ, არამედ სამეუფო კარების წინ გალობდენ გირიელეისონს. კვერქისის შემდეგ ქათალიგოსმა, მიტროპოლიტებმა, მთავარ ეპისკოპოსებმა და არქიმანდრიტებმა იგალობეს საგალობლები, რომლის შემდეგ ჩრდილოეთის კარებით გამოვიდნენ სახარებით და მიართვეს ქათალიგოსს, რომელიც ემთხვია სახარებას. შემდეგ მიტროპოლიტებმა, არქიეპისკოპოსებმა, არქიმანდრიტებმა და წინამძღვრებმა მოჰკიდეს ხელი ქათალიგოსს და წაიყვანეს საკურთხეველში, ხოლო საგალობელ ადგილზე გალობდენ მთავარ ეპისკოპოსები, არქიმანდრიტები და წინამძღვრები ტროპარს და კონდაკს და «წმიდაო დებერთო»-ს თავისებურად.

დიკონი გამოვიდა საკურთხეველიდამ ჩრდილოეთის კარებით, დადგა სამეუფო კარების შირ-და-შირ და წაიკითხა სამოციქულო, ხოლო სახარება წაიკითხა მთავარ დიკონმა, რომელმაც წაიკითხვის შემდეგ სახარება მისწავნა სამეუფო კარებთან, აქ მღვდელმა გამოართვა მას სახარება და მიართვა ქათალიგოსს და ეგვლა მწიგნულებს. ექტონებს ამბობდა დიკონი, ხოლო «უფალო შეგვიწყალებს»-ს გალობდენ იზოდაკენები, რომელიც იდგნენ სამეუფო კარებთან, ხოლო «რომელი ქრახიმთა»-ს და «ღირსაღს» გალობდენ ერთის-მხრით მთავარ-ეპისკოპოსები და ეპისკოპოსები, ხოლო მეორეზე მგალობდნენ.

«ღირსაღსი»-ს შემდეგ აღარაფერს არ გალობდენ, მხოლოდ დიკონები ხელის ხმით აღმარაობდენ საკურთხეველში. სახარების გამოსკენების დროს წინ მოუძღვის დიკონი, რომელმაც ხელში უჭერია ჯგერნი, ჯგერის შემდეგ მოაქვსთ გარდამოსხნა, წინ მიდის დიკონი საცეცხლურით ხელში და ორივეს მხრით უშვეს ხალხს და ხატებს; როცა გამოატარეს გარდამოსხნა, მეფემ მიიხსადა გვირგვინი და ნახევარი მეტანი შეასრულა, ხოლო ქათალიგოსი გამოვიდა სამეუფო კარებიდან, ჩამოდგა ცოტა და მიიღო გარდამოსხნა და აღიღო ბარძიმი თავის ზემოთ, მიიქცა სამივე კუთხივ და წარმოხტვა: «მოგიხსენით უფალომ დებერთმა» და, როცა საკურთხეველში შევიდნენ, სამეუფო კარები ღია გაუშვეს, მხოლოდ ჩამოაფარეს კრუასხბული; არც ერთ ეკლესიაში მეუდაბნოენი არ სცხოვრებენ. ქათალიგოსის შემდეგ აიღო ბარძიმი მთავარ-დიკონმა, შემდეგ ბარძიმი მიიღო ქათალიგოსმა, აღამაღლა სამეუფო კარებთან და მერმე მისცა მღვდელს, რომელმაც დასდგა სამსხვერპლზე; ჩამოიღოცა მღვდელმა, რომელიც გამოვიდა სამეუფო კარებიდან; წიწვის შემდეგ სეფისკვერი არ დაურთებიათ ხალხისათვის. წიწვის გათავებისას ჩამოიღოცა ქათალიგოსმა, რომელიც გამოვიდა სამეუფო კარებით, და იქვე განჩნდა. რქროს ღანგრით გამოიტანეს სეფისკვერი, დატუხილი ნაწილებად; მეფე ალექსანდრე მივიდა სამეუფო კარებთან, რადგანაც გამოვიდა ქათალიგოსი; მან სამჯერ მიწოდა მეფეს ხელში სეფისკვერი, მეფემ მიიღო და ემთხვია ხატს, ხოლო დედოფალი იდგა მეფის ადგილის შირ-და-შირ მეორეს მხრით ფარულად. საკურთხეველში მღვდელმთავრის დასჯდომელი ადგილი ტრახეზს უკან ამაღლებულია ექვს საფეხურზე. წიწვის გათავების შემდეგ ქათალიგოსი გამოვიდა საკურთხეველიდამ, დაჯდა ეკლესიის მუ ადგილას საინახეზე, მასთან მივიდნენ დიკონები და დაუწვეს შესამოსლების ხდა. მეფე ამ დროს წავადა ეკლესიიდან და თავისთან მიიხატო სადილზე ნიკიფორე და ალექსი; ნიკიფორე და ალექსი წიწვის შემდეგ წავიდნენ თავის ბინაზე, გამოიტყალებს ტანთ-სადმელი და წავიდნენ მეფე ალექსანდრესთან სადილზე. სადილათ ისდნენ მეფე და ქათალიგოსი, ხოლო მთავრების შემდეგ ისდნენ დიდი კაცები და ახნაურები უწინდებულად ტილოს კარებში. სადილზე მეფემ და ქათალიგოსმა დალიეს რუსეთის მეფის, დიდი მთავრის ალექსანდრის მიხაილის მან სადღეკრძოლო და მკეფი სადილის დროს მეფე ძალიან მხარული იყო და გაისმოდა მისი ხმა. სადილის გათავებისას მეფე ალექსანდრემ გოდვე მიართვა

ჩვენი მეფის სადღეგრძელო და დასჯეი რაგორც ქათვლიგონს, ისე იქ უყვება მეფეთათა სადილის შემდეგ დესპანი გაუშვა თავისთან და თან გაუგზავნა ნიკიფორეს და ალექსის საჭმელ-სასმელი თავის სტოლიდან.

ორს ივლისს ნიკიფორესთან მოვიდა გოლგოთის მთის მონასტრის წინამძღვარი ნიკიფორე და მას თან მოჰყვა მეფის აწნაური თეიმურაზა და უამბეს ნიკიფორეს, რომ ივინი გაგზავნა მეფე ალექსანდრემ თავად ლეონტი დადიანთან, რომ იგი შეურიგდეს მეფე ალექსანდრეს და, თუ შეურიგდება, კვებ ლეონტი დადიანსაც გაუგზავნოს დესპანი რუსეთის მეფეს ალექსი მისაილის ძეს და დაუწახს მასს თავი, რომ მისმა უფიქრებულესობამ მოიღოს ლეონტი სედაც ის მოწყალება, რომლის ღირსიც გახდა თვით ალექსანდრე მეფე და მიიღოს იგიც თავის მფარველობის ქვეშე. ამასთანავე მეფემ გობრძნათ თქვენც, რომ თქვენც რაიმე დაგვებართ თავად ლეონტი დადიანთან.

ნიკიფორემ და ალექსიმ წინამძღვარს ნიკიფორეს და რომანსს მოასხენეს: რაც უბრძანებია მეფეს, ყოველად კეთილია, მაგრამ ჩვენ, დესპანთ მონდობილება არა გვაქვს ჩვენი მეფისაგან ი ავად დადიანის შესახებ, ამიტომ ვერასოდეს ვერ ვიტყვიით. მასთან მოასხენეს წინამძღვარს ნიკიფორეს: «თუ შენ შენა მეფის მანდობილებას შეასრულებ და თავად ლეონტი დადიანს ალექსანდრე მეფესთან შეარიაგებ და ისიც თუ სთხოვს ჩვენს დიდს მეფეს ალექსი მისაილის ძეს მფარველობას, მასთან შენ ჯამაგიერს დაგინიშნავს ჩვენი მეფე».


სხუთ ივლისს მეფე ალექსანდრეს მოძღვარმა მიტროპოლიტმა სეპარამ მიიწვია მეფე სადილზე, მეფემ თავის მხრით დახატოჲ მიტროპოლიტთან ნიკიფორე და ალექსი, რომელნიც, მეფის ბრძანებ-სახებრ, წავიდნენ მიტროპოლიტ სეპარასთან. სადილზე დესპანნი ისხდნენ მეფის მარჯვენა მხარეს, ცოტა მოშორებით მეფესე სოლო მთავრების წარმომადგენელნი და აწნაურნი მარცხნივ. სადილზე მეფე ალექსანდრემ აიღო ღვინო, აღიმადლა ხმა და ადღეგრძელა რუსეთის დიდი მეფე ალექსი მისაილის ძე, შეაქო იგი და თათქმის დმერთს შეაღწა. «ჩვენი დმერთი» ბრძანა მეფემ, ცათა შინა არის, სოლო იგი, «დიდი ხელმწიფე ჩვენი მიწასეა». როცა თავით გაათავებდა სმის, შემდეგ დაუყვავდა სადღეგრძელოს დესპანთ, მეფე მიტროპოლიტებს და არქიმანდრიტებს, მათ შემდეგ მთავრობასა და აწნაურებს. სადილათ მეფეს, დესპანთ, დიდგვარობას და აწნაურებს სოლოცეული ჭქონდათ, სოლო სასულიერო წოდებას საძაწხლო.

ნ ივლისს მეფე ალექსანდრე თავისი მეუღლით წაბრძანდა და ქალაქ სკალდას მოასხევენებლად და წაბრძანების წინ წინამძღვრის ვასილის პირით შემოუთავადა დესპანთ, რომ მათ თავი არ შესწებოდოთ. მასთან წინამძღვარმა ვასილმა გადასცა დესპანთ, რომ მათ სამი დღის შემდეგ დაიბარებენ მეფე; მათთან ერთად დაბარებული იქმნება აგრეთვე მეფე თეიმურაზიც, რომ მასთან ერთად მეფემ შეასრულოს მისი დიდებულების რუსის ხელმწიფის და თავისი საკუთარი საქმეც. შემდეგ დესპანთ გადასცეს მეფე ალექსანდრეს ბრძანება, რომ ივინი გადასულავყენენ მატარა ქალაქს ქუთაისში მეფის საკუთარს სასლებში.

რვა ივლისს ნიკიფორე და ალექსი, მეფე ალექსანდრეს ბრძანებისაგებრ, გადავიდნენ მეფის სასახლეში, რომელიც მდებარეობს ქალაქ ქუთაისის ძირა ნაწილში. ქალაქი არის ქვისა, მდებარეობს მდინარე რიონზე, მთის ძირად სწორს ადგილზე; ქალაქში ცაძარი არის ქვიტვირისა წმიდა გიორგის სასულზე, ქალაქის კედლებზე არის ორი კოშკი, ერთი შესავალი კარების ზემოთ, მისში დატანებულია წარბაზნის სასროლი, მეორე კოშკი სიმაღლით იქნება ოსუთმეტ საყენადე, მასში არის დატანებული სამი წარბაზნის სასროლი, ქალაქში არის სამეფო დარბაზი, რომელიც სდავს სვეტებზე, სვეტები ამოყვანილია მდინარე რიონიდან, დარბაზის ერთ კედელზე არის წარწერა, რომელსაც სიგრძით უტყვობა მ საყენი, სოლო სიგანით სუთი. ამ კედელზე დანიშნულია უწინდელ მეფეთა ომები. ამ დარბაზში იდგა ნიკიფორე ტოლოჩანსკი; ამ დარბაზის მსხლობლად დადგმულია ხაზდასი, რომელსაც ფანჯრები ბლომდა აქვს, სიგრძით ხაზდასი იქნება ოცი საყენი, სოლო სიგანით—რვა, იმის უფან არის ქვის სარდაფი, მეორე მხრით, ქალაქის კედლის მსხლობლად მდინარე რიონის პირად არის დიდი დარბაზი სიგრძით თვრამეტი საყენი, სიგანით შვიდი, ამ დარბაზში იდგა ალექსი ივლიკვი, ამ დარბაზის უფან, ქალაქს გარეთ, არის მეფე ალექსანდრეს ბაღი, რომელშიაც მრავალი სეუბია.

ათს ივლისს ნიკიფორეს და ალექსისთან მოვიდა მეფე ალექსანდრესაგან გამგზავნილი კაცი, მდივანი (სეკრეტარი) ბეშენგა და მეფის სახელით მოასხენა დესპანთ, რომ მათ თავი არ მოსწყუიოდათ, და მასთან აწნობა მათ, რომ ივინი მალე იქმნებთან დაბარებული მეფისაგან.

13 ივლისს მიტროპოლიტმა სეპარამ მეფე ალექსანდრეს ბრძანებით გადასცა ნიკიფორეს და ალექსის, რომ ივინი წასულიყვნენ ზემო ქალაქს გელათში, სადაც განისვენებენ მეფენი, და დათვალერონ რაგორც ქალაქი, ისე ცაძარი, დუთის მოწყალება და წმიდანები.



მეფე ალექსანდრეს ბრძანებისაჲს ნიკიფორე და ალექსი წაუდინენ ქალაქს გელათში და დაათვალიერეს იგი. ქალაქი გელათი არის ქუისა, მდებარეობს გორს ადგილზე, ძირს ხამოუდის მდინარე, სასკლად წყალ-წითელა, ქალაქიდან ნახევარი გვერდის მანძილზე არის ორი შესავალი კარები რკინისა და მასზე წარწყმდა არის. რთვორც მიტროპოლიტმა წაქარიამ გვიანბო, ის კარები მოტანილია ყიზირბაშების ქვეყნიდან, ქალაქ დერბეტიდან იმ დროს, რაცა ყიზირბაშებს ეომებოდა მელოის მეფე დაეთი.

ღრამატიკა მეცნიერებათა თუ ხელოვნება.

(გაგრძელება *).

თქმა არ უნდა, ყოველი ცოდნა მიმართულია იმაზედ, რომ აღამიანის ჭკუა აეარჯიშოს, გაამდიდროს. მაგრამ მეცნიერება განსხვავებულია მიისწრაფის, აღამაღლოს ის ერთი უზენაესი კაცის ნიჭიერება, რომელსაც ძველი ქართველები ეძახდნენ «გულისხმას» და დღეს «გონებას» ვეძახით. ამისდა შესაბამისათ ჭეშმარიტ სწავლა-ცოდნათაგან მეცნიერებაში შედიან მხოლოდ ისეთნი, რომელნიც განსაკუთრებითა განასახიერებენ, ანუ საგნად აქვთ განასახიერონ, ბუნების სჯულის «შეგნებულება». ეს უკანასკნელი წარმოებს არა ჭკუისაგან, არა ატრიბუტებურთ განსაზღვრებათაგან, არამედ სუბსტანციურთ განმარტებათაგან, გულისხმისა და აზროვნობისგან. მეცნიერება აძლევს ხოლმე საგანს მიზეზებად და შედეგებად და შეიძლება — შედეგები მრავალნი აღმოჩნდეს, მიზეზები ცოტანი. ღრამატიკა მართო შედეგებს გვიჩვენებს; იგი თავით ბოლომდე არის ატრიბუტული განსაზღვრება ტერმინების, ან მოკლეთ, ან ვრცლათ; შიგ არის ფაქტების შიშველი აღწერილობა და ღრამატიკოსი სრულიად არ იღვწის განსამარტავათ იმ ბუნების სჯულებისა, რომელნიც განაგებენ განხილვადს ფაქტებს. მაშასადამე ღრამატიკა მეცნიერება არ არის და ბ. კარი ქაშვილი შემცდარი ბრძანდება.

მეცნიერება რომ ცოდნათა შემოკრებილება იყოს და მეტი არაფერი, მას არ ექმნებოდა ლოლი

კური, შინაგანი დაწყობილება და აგებულება და მას აღარ შეეძლო ორგანულათ განვითარება, არამედ მხოლოდ მექანიკურათ გადიდება და ვაგრცელება. ამიტომ არ იცნობენ მეცნიერებად გეოგრაფიას, გეოლოგიას კი; არ თელიან მეცნიერებად ორგანოგრაფიას, ორგანოლოგიას კი. ჰირველებში მართო ფაქტებია აღწერილი. მეცნიერება კი განიხილავს რჯულებს, რომელთაგანაც განიკარგებიან მოვლინებანი და ძალებს, მიზეზებს, რომელნიც აწარმოებენ მოვლენებს.

რომ ჩაუყვირდენ ბუნების და ცხოვერების მოვლენებს და შეისწავლო რომლისაჲ მეცნიერების ისტორია, ადვილათ შეამჩნევ, რომ გარეთნი მოვლინებანი, ფაქტები სრულიად არ არიან ერთმანერთთან ბუნებითათ დაკავშირებულნი. ამ კავშირობას მათ შორის შერებიან «შინაგანი» მოვლინებანი, ბუნებითნი რჯულნი, რანიც დაფარულნი არიან ჰირ-და-პირის კვლევა — ძიებისგან და ცხადნი არიან მხოლოდ აზროვნებისა და გონებისათვის. აი ამ აზროვნობით განბრწყინებულს ფაქტებს ქვია მეცნიერება, აზროვნობა შეადგენს მეცნიერების ძაღონეს და ეს ხომ სრულიად საჭირო არაა ჩვეულებრივს ღრამატიკაში, რომელიც არის დამყარებული ცარიელს დაკვირვებებზე. მეცნიერება ისაა, რომელიც შეგვიძინებს შეგნებულობას და არა მართო ცოდნას; ცოდნა, ცნობები მეცნიერებისთვის მეორე ხარისხიანი ნივთია, საშუალი, იარაღი. შეგიძლია უშველებელი სწავლული იყო და ამავე დროს სრულიადაც მეცნიერი არა. მეცნიერი სხვაა, სწავლული სხვა, „შუა უზის დიდი ზღვარი.“ ჩვენ შეგიძლია დღევანდელს ქართველებშიც დავასახელოთ ერთი-ორი მეცნიერი, დიდის ვაჭიერებით, სწავლულები კი ისე ძვირი არაა.

რათგან ჩვენ ამ გზობისათ მხოლოდ მეცნიერებთან გვაქვს საქმე და მეცნიერის სულებს ვადევკიდეთ, ამიტომ ცოცხლებს თავს ვანებებთ; დავასახელებთ ყველასაგან ცნობილს ბესარიონ ლოლაბერიძეს, რომელიც ჩინებული სწავლული იყო და მეცნიერი — არას გზით. მისს მრავალმხრივს სწავლულობას აღიარებდა თვით ბ — ნი ნიკოლოძე, მისი დაუძინებელი მოკამათე, და საზოგადოება ხომ მას «მთარულ ენციკლოპედიას» ეძახდა. მაგრამ ვინ იტყვის, ბ. ლოლაბერიძე მეცნიერი იყო. მეცნიერისთვის საჭიროა თვით უმაღლესი ნიჭი, — ნიჭი განზოგადებისა, ნიჭი გულისხმის აღმაფრენისა, რასაც მოკლებული იყო განსვენებული ბესარიონი. როგორც უბრალო ცნობის-მოყვარეო-

*) ის. «მწვემსა»-ს № 16.

ბა (კოდნის მოყვარეობა არ გეგონოს) არის ნიშანი ჭკუის უზინაარსობისა და ქშუტაობისა, ვერეთვე მეტის მეტი სწავლეულობა, განსმკვრეტელობასა და განზოგადების ნიჭიერებას მოკლებული, უფრო ჩაგრავს და აბრჯგუებს გონებას, აზროვნობის პროცესს, ვინემ ხელს უწყობს მას და მისს გადაშლილობას. სწავლეული, რომელიც უგვემოთ, უმიზნოთ და უიდეოთ ცდილობს მოიპოოს ახალ-ახალი ცნობები, გავს იმ კარაბეტას, რომელსაც აქვს მარტო მოხვეჭის ნიჭი, მოხმარებისა და საქმეში გამოყენების უნარი კი აღარ. ამისთანა სწავლეული ისე მოკვდება, მისგან კაცი ვერას ირგებს, იგი საზოგადოებას წინ ვერ წაწევს. მეცნიერებაში არის გატარებული მალა-ლირამე იდეა, რაზედაც მოშველიებულია და ასხმული ფაქტები და ცნობები ისე, როგორც ძაღზე მძივები. მოვლინებანი, ცნობები და ფაქტები მეცნიერისთვის მხოლოდ სიბოროტეა მიუცილებელი. მეცნიერი არის ის, ვინც იღვის გულისთვის იღვწის, იკვლევს ფაქტებს და ხმარობს მათ მხოლოდ იმ იღვის დასასურათებლათ და მასალად. ბახა ბესარიონ ლობაბერიძეს არ შეეძლო სანაქებო ღრამატიკა დაწერა? შეეძლო, მაგრამ ამით ის მეცნიერი ვერ გახდებოდა. ღრამატიკისთვის სწავლეულობაც თითქმის მეტია. მეცნიერის დაწყობილი ჩვეულებრივი ღრამატიკა, თუ მართლა მკითხავთ, არც კი ვარგა; ამისთვის კიდევ ცალკე ნიჭია საჭირო, ნიჭი განთქმისა, გახალხოსანებისა, რაც იშვიათს მეცნიერს აქვს. აქეთვან ჩანს, რომ მეცნიერება ერთის მხრით და კოდნა-სწავლეულობა მეორის მხრით ერთი და იგივე არაა. შეუძლებელიც არის—მეცნიერებაში შედიოდეს ყოველგვარი კოდნა. ძველათ კი, მართალია, ყოველგვარი ტენის ნაწარმოები ორად იყო გაყოფილი: მეცნიერებად და ხელოვნებად. მაგრამ კარგი ხანია, რაც ასეთი განყოფა უკუუადღეს და მკაცრათ განსაზღვრეს, რა არის «მეცნიერება» და რა «ლიტონი კოდნა»; რა არის «ხელოვნება და რა ხელოვნობა». მაგრამ ესენი ბ. პარიჭაშვილს «ჯერ არ შეუტყვიან».

ძველმა ბერძნებმა და საერთოთ ძველმა და ძველის ძველმა ერებმა ბევრი, ძალიან ბევრი რამ იკოდნენ ფილოსოფოსს ოალესის დაბადებამდე, მაგრამ მხოლოდ ამ ფილოსოფოსითვან იწყება მეცნიერება. მას, თუმცა კოდნა სხვაზე მეტი არ ვამაუზენია, მაგრამ მან პირველმა ეს კოდნა გამოიყენა მეცნიერულის მისწრაფებისადმი, მან პირველ-

დაუქვემდებარა «გულისხმას» და განმარტა მანამდე მოპოებულნი კოდნანი და გამოცდილებანი; მან პირველმა განაღვიძა «შეგნებულება» და დაუმორჩილს ჭკუა-გონებასა, დაკვირებანი ზოგადს რჯულსა, ფაქტები აზროვნებასა. კოდნა ჭკუის საქმეა. მეცნიერება, შეგნებულობა—გულისხმისა, თუ გონებისა. კოდნის შეძინების ღროს შემეცნებაში (сознание) გამოსჭვირს მხოლოდ მიმომდინარე მოვლინებანი, შეგნებულების და აზროვნების პროცესის ღროს კი შემეცნება ხდება შემოქმედ ძალად. მარტო ჩვენმა კრიტიკოსმა არ იცის, რა სხვაობა არის ჭკუასა და გონებას შორის. ჭკუა არის კაცში პასიურათ შემტყობარი ნიჭი, რომელიც გიჩვენებს, როგორ უნდა მოიქცე ამა, თუ იმა შემთხვევაში, შესაბამისათ საგნებისა, როგორც ესენი ეჩვენებიან კაცს, მაგალითათ სიტყვა-პასუხში, ყოფა-ქცევაში კარგათ მოქცევა არის ჭკუის საქმე. ჭკუიერი კაცები არიან ისინი, ვისაც ცხოვრებაში წარმატება აქვსთ, მდიდრდებიან თვილ-თვილ ადგილებს პოულობენ, უადგილოთ არას იტყვიან და არც იქცევიან. ჭკუიერის კაცებისგან საზოგადოებას არა არგია რა, ისინი ვიწრო წრეში მობრძობენ, თავისის თავის და თავისიანების სასიკეთოთ. ზოგჯერ ამიტომ ჭკუა ბოროტებად იქცევა.

სულ სხვაა გონება, იგი არის უუმაღლესი ნიჭიერება, შემოქმედი, შემგნებელი; მისწრაფის არა მარტო იმისაკენ, რომ შეიტყოს, არამედ—შეიგოს, შეიგულისხმოს კიდევაც ის, რაც შეტყობილია; გონება მისწრაფის უანგაროთ კაცის არსებობის უზენაეს დანიშნულობისკენ, სადამდეც კი შეუძლია აღამიანს მიწვდეს. ბონება თუ განვითარდა, გენიოსობამდე მიადწევს. ბონიერნი და გენიოსები ხშირათ და ჩაგრულნი არიან ცხოვრებაში. ხალხი მათ არ იწყნარებს, ზოგჯერ სულელებად რაცხვენ, რათვან ხახალხმა იცის, რომ ჭკუა პრაქტიკურ მოსაქმობაში ჩანს—ხერხიანათ თუ საქვე მიგყავს. ეს ის ნიჭია, რომ არ შეცდება ხოლმე. ბონება კი იშლება თეორიულ მოქმედებაში და ცხოვრებაში ათასში ერთხელ თუ გამოკრთის.—ზამოკრთის მხოლოდ მაშინ, როცა თავათ ცხოვრება ცდილობს, მასში გონება გამოსჭვირდეს. ბონების ძალა ჩანს შეგნებულობის სინამდვილეს და სიმარტივეში და ამ შეგნებულობის მრავალდამტყენელობაში.

ჭკუა არ არის თვითმდეგი, არამედ ნართაული სხვა ნიჭიერებათა და ამათვან იხმარების, როგორც



იარალი მისაღწევით სხვა-და-სხვა მიზნისადმი. ჭკუის მსაქმობით მდგომარეობას შეიძლება, უფროდ «შეტყობა და მოფიქრება.» ზონება კი განსხვავებული რამ ნიჭიერებაა, ღრმად თვითმდევი. იგი კაცში ცხოვრობს და კაცი მას ვერ პატრონობს. პირიქით, იგი თვით კაცზედ უფლებს, იმორჩილებს მისს ნებას და წადილებს; თვის მიზანს, თვის «ოხჯანს» გონება თავის თავში ატარებს. მარეგნული და «ზეწრული» მოსაზრება მას ახშობს. ზონება მოსვენებაში, მარტობაში იშლება და ბავლდება. (ჭკუის გასაძლიერებლად კი უფრო საჭიროა გარეგნული მოსაქმეობა. პრაქტიკური წუთონა-ვარჯიშობა, როგორც ამბობს თვით რუსთველი: «ბატონი ყმასა ასაქმებს და ჭკუას გამოცდილობა».) აი ამიტომ მეცნიერნი და ფილოსოფოსნი, რომელნიც უფრო გონებით მუშაობენ, ასე საჭიროებენ მოსვენებას და მოცალეებას. ღრამატიკას რა დიდი მოცალეება უნდა: ჩინებული პატარა ღრამატიკა შეიძლება კაცმა დაწეროს ერთი კვირის განმავლობაში.

ზონების უმთავრესი მონაწილეობა მეცნიერებაში არის წინდი განუსაზღვრელის განვითარებულობისა. მეცნიერებაში არის ცოდნა, მაგრამ ეს ცოდნა არის მოპოვებული უფრო აზროვნებითის და არა დაკვირვებითის პროცესით. მეცნიერებაში გონება ეძებს შინაგანს ძალებს მოვლენათა და არა თვით მოვლენებს და ფაქტებს. ღრამატიკაში კი ასეთი ძიება საჭირო არაა და ღრამატიკის მკვლევარი გონებით არ მუშაობს, არამედ მარტო ჭკუით.

ზონება საგანს რომ შეისწავლის, ცოდნას რომ მოიპოვებს, ამას როდი ჯერდება (როგორც ღრამატიკოსი), არამედ მასში იღვიძებს ახალი მისწრაფება, რაშიაც ძვეს საფუძველი კაცებრივთ კვლევათა უსაზღვროებისა; გონება ეძებს მიზეზს თვით ამ მისწრაფებისას. — აი ახალი შემეცნება. ასე რიგათ ეს რთული, მრავალმომცველი და დაუსრულებელი შეგნებულობის პროცესი მიიზიდვის და მისწრაფის წინისაკენ და განიგების გონებით. არა ჭკუით. მეცნიერება იღვწის ცოდნათა შეგნებულებაში მოყვანისათვის და არა თვით ცოდნათა მოპოებისათვის. უკანასკნელნი არიან მხოლოდ საშუალები, იარაღნი, ამისთვის გონება პირდაპირ როდი ეძებს ახალ საგნებს და მოვლენებს, არამედ ცდილობს რომ უკვე მპოებული, როგორც ცოდნა, რა სახით შეიგნოს, ე. ი. მოუნახოს რჯული, მიზეზი და შედეგი; სურს განმარტოს მათნი შინაგანი თვისებანი, შინაარსი. ამასობაში,

თუ გონება ახალ საგნებს და ახალ ფაქტებს წააწყდება (და შემოიკრებს), ეს ხომ მისი მიზანი არ იყო. ჩვენ რომ პირიქს შევდიოდით და გზაზე ბ. ძ — ლი შემოგვხედეს და გამოველაპარაკოთ, ეს ხომ იმას არ ნიშნავს, მითომ ჩვენის მოგზაურობის საგანი ეს შეხვედრილი კაცი იყო. ზოოლოგია კიდევ მეცნიერებაა, მაგრამ ზ. ჭ. მარტო როდი შეადგენს ზოოლოგიას. უსინხატრიაც მეცნიერებაა, მაგრამ ბ. ძ — შეილი ხომ ფსინხატრია არ არის. თუმცა ცხადია, რომ ამ ორთავეს საუცხოო მასალად გამოიყენებდენ მეცნიერნი პოლ-ბერი და გრიზინგერი. აკრთივე ღრამატიკით რომ რამე ისარგებლოს მეცნიერმა, ეს იმას არ ნიშნავს, ვითომ ღრამატიკა მეცნიერებაა. მაშასადამე, ბ. ძარიჭაშვილს ნაწილის თვისება გადააქვს მთელ საგანზე, სჭირს მოსწრაფებული დასკვნა მსჯელობაში.

თავისის აგებულობისაებრ მეცნიერება გულგრილად უყურებს გვერდით შეხვედრილ მოვლენებს. მაგრამ, თუ როგორმე ამათ მეცნიერის ყურადღება მიიქცევს, მაშინ იგი ვერ დატოვებს მათ შინაგანის მღვლეარების გამო. ბარეშე თვისის ცნობიერებითის ნებისა, იგი თითქო წარეტაცვინება მათ, თითქო შეეშება მათს ალღევას და ამ დროს გამოცდის იმ უსინამოვნოსა და მძიმე გრძობას, რაც ხელს უშლის მისს შემოქმედებითს მსვლელობას. რაც უფრო ბერი საბრკმელი შეხვდება გზაზე, მით უფრო მეცნიერი ჩაეკიდება ხოლმე თავისს სანუკველს. ბოლოს, როცა მიზანს მიაღწევს, მეცნიერი გამოცდის უზენაესს და წმინდა სინარულს, — სინარულს, იმიტომ კი არა, მითომ შრომა გაათავა, არამედ იმიტომ რომ გონება დაიკმაყოფილა, გულისხმის მისწრაფება დაიღრვა. ამის მაგალითებით საგნა შემოქმედებითის მეცნიერების ისტორია. ამ შემთხვევაში ნამდვილი მეცნიერი და ნამდვილი ხელოვანი ერთი და იგივეა და ჩვენი შეუდარებელი კრიტიკოსი უზარმაზარს ჩინეთის კედლებს პოებს მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის. ჩვენ რომ ღრამატიკა «ლიტონ ცოდნათა» გროვისთვის არ მიგვეკუთნა, მაშინ მას უმაღ ხელობად ან ხელოვნებად ჩავთლიდით, ვინემ მეცნიერებად.

როგორც ჭეშმარიტი ხელოვანი არაა ის, ვისაც შეუძლია ადვილად დათმოს მექმობა; ვინც გარეგან შთაბეჭდილებებში ეძიებს აღძრვილობას და განბრძნობას, — ვგრთივე ჭეშმარიტი მოაზრე და მეცნიერი არ არის ის, ვინც ადვილად თმობს აზროვნების პროცესს, ვინც ახალს ევრას შეიტანს და შექმნის

მეცნიერებაში; ეინც წაიკითხავს ხოლმე ერთ-ორ წიგნს და მათს შინაარსს გადმოგცემს. მეცნიერებითი მექმნობა მიდის გარეთთაღობითგან შინაგანს, კაცის, სამეუკუაში, ხელოვნებითი კი — პირიქით — კაცის შინაგან ბუნებითგან გარეთისაკენ, რათა უკანასკნელში გამოიმკლარდეს პირველი. (ლრამატიკა ამას არც ერთს არ ჩადის). თუ ხელოვნება გარეგან ფორმად და ბაძიობად გადიქცა და ხელოვნანს აკლია შინაგანი მექმნობითი ძალი და გრძნობა, მაშინ ხელოვნება აქარდება და ანდერძი აკვებული აქვს. აკრთევე—თუ მეცნიერება გარეგანულ შემოქმედებად გადიქცა, თუ ყოველგვარს ცოდნას მეცნიერება დაერქვა, როგორც ამ უკანასკნელს დრომდე ეძახდნენ, მაშინ მეცნიერება აღისპობა და გამოვა ან შარლატნობა, ან, ბევრი—ბევრი, სწსელულობა. სწაელული ხომ მეცნიერებას წინ ვერ წასწევს...

მს აქაია მეცნიერება—ხელოვნებაზე და ჭკუა—გონებაზე იმიტომ გავაბით, რომ დაგვერწმუნებია ბ. კ—შეილი ამაში: ცოდნა ჭკუის საქმეა, მეცნიერება კი გონების, ლრამატიკა მარტო ცოდნაა და მასასაღამე მეცნიერება იგი არ არის. მეცნიერება არის ისეთი «მიჯნურობა, რომელსაც ჭკვიანნი ვერ მიხედებიან, ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დაკავლდებიან», როგორც ამბობს რუსთველი. ჭკვიანნიო?—ამ ტვინის ქესატობაზე ამ ჭკუასაც დაეჯერდებოდით, გონებას ეინლა დაეძებდა, მაგრამ, ვაი, რომ არც ეს ჭკუა გვიჭყავის! სულ მეცნიერება გვეჩხვრება, ვერაფერი კი ვერ შეგვიმეცნებია.

ახალი ამბები და შენიშვნები.

პერის წმ. იოანე ლეთის-მეტყველის ეკლესიის სამზრუნველს, წინადადებისაებრ ამ ეკლესიის წინამძღვრისა მღვდლის მარკოზ ტყემალაძისა, დაუდგენია აღნიშნულ ეკლესიასთან სამრევლო სკოლის გახს-

ნა. თედაპარელოდ ამ სკოლაში ყმაწვილებს ასწავლიან უფასოდ. მასწავლებლად იქნებიან როგორც ამ ეკლესიის კრებული, ისე სამრევლოს ზოგიერთნი წევრნი. დადგენილობა სკოლის გახსნის თაობაზე უკვე წარუდგენიათ მისი ძალად ყოვლად უსამღვდელო სობის, საქართველოს ექსარხოსის პალლადისათვის.

* *

1887 წელში ყვირილაში გაიხსნა ერთი კერძო სასწავლებელი, რომელიც დღეს გადაკეთებულია საეკლესიო, სამრევლო სკოლად. ამ სკოლას დღიდგან თავის არსებობისა დღემდე, გარდა საეკლესიო-სამრევლო სკოლების პროგრამის მტკიცედ შესრულებისა, მოუმხადებია ორმოცდა ერთი მოწაფე, რომელთაგან ზოგი შესულა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის და პროგიმნაზიის ზედა მოსამზადებელ კლასში, ზოგი ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის პირველ კლასში, ზოგი შვირილის ნორმალური სასწავლებლის ორივე განყოფილებაში და ზოგნიც ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მესამე და მეორე მოსამზადებელ კლასებში, სწორეთ მადლობის ღირსნი არიან ამ სასწავლებლის მასწავლებელნი, რომელნიც ასე მუყიათად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას და მასთან ყმაწვილების მოსამზადებლად ძალიან ცოტა საფასს იღებენ. მს გარემოება ცხადად და აშკარად ამტკიცებს გაზეთ «НОВ. СВѢТ.» კორრესპონდენტის ცილის წამებას, რომელიც ამტკიცებდა, რომ ხსენებული სკოლის მოწაფენი არ არიან მომზადებულნი რიგიანანალო.

* *

ბ. ექიმის თოფურის განზრახვა ქუთაისში კერძო საავადმყოფოს გახსნის შესახებ, როგორც ჩვენ შეეიტყეთ, მალე მოვა სისრულეში.

* *

ქუთაისში ისეთი მტვერის კორიანტელი არის გამდგარი, რომ კაცს არ გაველებს ქუჩაზე. ქუთათურები დღემდის კიდევ ვერ მიძხედარან, რომ მტვერიან ქუჩებს მორწყვა უნდა. რიონიც ხომ შუაგულ ქალაქში ჩამოუდის, მაგრამ იძღენი მოსახრება არააქესთ, რომ ამ წყლით ისარგებლონ. სხევებს ოცი ევრსტის სიშორიღამ მოყავსთ წყალი და ამათ იმისთანა მშენიერი მდინარე ცხვირის წინ აქესთ და ვერ უსარგებლებიათ!..

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნობაზედ.

სიტყვა,

თქმული მისი მადლ ყოვლად უსაძვდელაულობის საქართველოს ექსარქოსის ზალდადისძიერ 30 აგვისტოს წმ. კეთილ-მორწმუნე დიდი მთავრის ალექსანდრე ნეველის სახელზე დაწეებული ტაძრის სამარკვლის ჩაყრის დროს სახსოვრად 17 ოქტომბრისა 1888 წლისა.

უფალო, აცხოვე მეფე, და ისმინე ჩვენი (ფსალ. 19, 9).

ასე ეკედრება ღმერთს მთელა დიდი მართლ მორწმუნე რუსეთი მთელი თავისი ვრცელი სახელმწიფოსის ქალაქებში და სოფლებში. და იმედია, რომ ეს ღონივრება აღვდინებულ იქმნება ცამდე ყოვლისა მშვერბელი უფლის ტახტის წინაშე, რათა რვა საკმეველი კეთილ შუღოვანი, კეთილად მისათვალველი. მტყიცულა გვწმამს, რომ ხალხის ამ საზოგადო გულსმოდგინე ღონივრით მოხდა ის სასწაულიც, რომელმაც დაიფარა განსაცდელისაგან უკეთილ-მისხურესი ხელმწიფე ჩვენი იმპერატორა ალექსანდრე ალექსანდრეს ძე და მისი უგვრუსტოესი სახლობა წარსული წლის 17 ოქტომბერს. მან თვითონ თავის ტახტიდგან მდაბალი ვუღით აღიარა, რომ იგი სახლობით გადაწინა სასიკვდინე განსაცდელისაგან იმ მხურვალე ღონივრად, რომელსაც ყოველ დღეს სწირვენ მეფეთა მეფეს მისი პილღიონი ქვეშევრდომნი. ამ 17 ოქტომბრის დიდმა და საკვირველმა შემთხვევამ კიდევ უფრო გააძლიერა, გააძლიერა ღვთის მოშიშ და მეფის მოსიყვარულე რუსეთის ხალხის გულში ღვთის ეკედრება. ჩვენი ვრცელი სამშობლოს ყოველ ადგილს სახსოვრად ღვთის ამ გვარნი მოწაულებსა, იწვევს ღვთის ტაძრების, სამღვდელთაების და საქველმოქმედო შენობათა ადგება, აგრეთვე ასვენებენ წმიდა სატაბებს გაუწრობელი ღამებრებით.

ამ კეთილს და პატრიოტულს საქმეში უკან არ ხმოწხა ჩვენი გურთხეული, ძველიდგანვე კეთილ მორწმუნე და თავის მეფეთა ერთგული ივერია, რომელიც იმ წელს გაბედნიერებულ იქმნა მათი უდიდებულესობათა მობრძანებით და რომელიც წინაწულით დასტება, როცა იხილა მათი უდიდებულესობათა კეთილ მოწაულეობითი მოქცევა ეველა წოდებასთან, და იგი უზუად დაჯილდობულ იქმნა მოწაულებითა. გარდა მრავალ სხვა და სხვა ჩიშინთა, გამომხატველთა ჩვენი უსაზღვრო სიხარულასა და მადლობისა ღვთისა მაცხოვრისადმი მისგან მოკლენილი ს.სწაულისათვის, აი ჩვენ ჩვენდამი კეთილ მოკლენილს უფლის სადიდებლად გავსაკენით საფუძველი ტაძრისა წმ. კეთილმორწმუნე დიდის მთავრის ალექსანდრე ნეველის სახელზე, რომლის სახელი ჭკვია უკეთილ-მისხურესს გვირგვინისაგან და თვით მშვერბელს ჩვენსას. აქ იქმნებინ დასვენებულნი იმ წმიდანთა ხატები, რომელთა სახელები ჭკვია ხელმწიფე იმპერატორისა, მეტკვიდრე ცესარევის და მათი სასწაულებრივ დაცულ სახლობის სხვა წევრთა, აგრეთვე იმ წმიდანთა ხატები, რომელთა ხსენების დღეს მოხდა სასწაული სამეფო მოგზაურთა ყელად.

ეკვლესიამ, რომელიც, ჩვეულებისაგან, აგურთხევს «სიტყვითა ღმერთისათა და ღონივრითა» (ა ტიმ, 4, 5) ყოველ კეთილ საქმეს და დაწეებულსა, მოიწოდა ამ ადგილზე ყოვლად შემდეგ ღვთის სახელი, გასწმინდა ეს ნივთიერებასიც, რომელიც მომზადებულნი არიან ამ წმიდა საქმისათვის. აი ჩავსდეთ ჩვენ ზირველი ქვა აღსაშენებელი ტაძრის საფუძველში. და აგურთხვოს უზენაესმა თავისი ყოვლად მომქმედი გურთხევით ამა ტაძრის საფუძველის დასაწეისი, რათა მისი შენება იქმნეს დაწეებულ, გაცრძელებულ და დამთავრებულ სასურველი წარმატებით, რათა არ ვითარებე წინააღმდეგობითა ძალთა, ანუ ქარმა, ანუ ცეცხლმა, ანუ წყალმა, ანუ სხვა რამემ ვერ შეახერხოს ამ შენობის ადგება. ჩვენი ეკედრება ავღებულ ღრმა მნიშვნელოვანი და სამომდევრო მოქმედებით: იმ ნივთიერებაზე, რომელიც ჩადებულ იქმნა ტაძრის საფუძველში, ჩვენ ადვმართთ ჟვარი. ეკვლესია, რომელიც დაფუძნებულია უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ჟვარით მის ჟვარცმით ვნებათა ძალით, ტაძრებისათვის ვერ ჭბოებს უფრო მტყიცულ საფუძველს და საფარველს, როგორც ქრისტეს ჟვარს. ამ სახით სამებით დიდებული ღვთის გურთხევით ჩადებულ იქმნა საფუძველი და სალი შესანიშნავი ტაძრისა ჩვენს ქალაქში ბრწყინვალე და კეთილ მნიშვნელოვან ჩვენი საყვარელი, ღვთისგან დაცული ხელმწიფის სახელწოდების დღეს.



როგორც მწუქსი ულოცავ ჩვენს ქალქს ახალ წმიდა ტაძარს, ამ საღმრთო, შესანიშნავ ძეგლს, ამ ღვთის დიდს მოწყალეობას; ვინაიდან სადაც ტაძარია, იქ არის დაუშრეტელი წყარო ღვთის მადლისა; უფალი წმიდა ტაძარში განსაკუთრებით სიუხვით მოუყვანს თავის მოწყალეობას და ცხოვრებას ეკლესიას, რომელნიც მოუწყობდებიან მას საწმინდოებით და სასიკეთით. ახლად ასაშენებელ ტაძარს აქვს განსაკუთრებითი საგანგებო დანიშნულება: ამ ტაძარში ყოველ დღე შეიწირება მხურვალი გულმოდგინე კედრება უსისხლო მსხვერპლთა ერთად სიმრთელისა, კეთილ წარმატებისა, მშვიდობისა და ცხოვრებისათვის მათი იმპერატორებით უდიდებულესობათა და ძთელი უკუგუსტოესი სასლობისათვის, და წაიკითხება ლოცვა, რომელიც შედგენილია მათ უდიდებულესობათა სასწაულებრივის გადაჩენისა გამო სასიკვდილენ საშიშროებისაგან. ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ ეგვალ მოწმუნენი, ღვთის მოშიშნი შვილნი და ასუ-ლნი იკურნისა, უმეტესად უხვად დაჯილდოებულნი მეფის მოწყალეობითა, განსაკუთრებითი გულმოდგინებით მოკლენ ამ ტაძარში, რათა მასში მხურვალად შეკრდნენ ღვთის ცხოვრებისათვის, რათა მის კურთხეულ მეუფებსა ქვეშე ჩვენი საყვარელი სამშობლო უფრო და უფრო წარმატოს ძალითა და დიდებითა და ჩვენ ეგვალსა მოვიზიაროთ მეუდრო და უშფოთველი ცხოვრება ყოველსა კეთილ მსახურებასა და სიწმიდესა შორის.

უფალო, აცხოვრე მეფე და ისმინე ჩვენი! უფალო, დაიფარე უკუგუსტოესი ცხოვრული თვისი ყოველსა გზასა ზედა მრავალთა დღეთა, ვაცის ცხოვრების უზანაყნელ დრომდე, სადიდებლად და საბედნიეროდ ჩვენი დიდი სამშობლოსა!

ცხოვრება

სხობვა ღირსთა ზაქარიასი და ელიზაბედისა.

5 სექტემბერს.

დიდსნი ზაქარია და ელისაბედი იყვნენ მშობლები იოანეს წინამორბედისა, რომელსაც ატროვე უწოდებენ იოანეს ნათლისმცემელს, რადგან მან იორდანეში ნათელი სცა უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს. ზაქარია

იყო იუდეების მღვდელი; მისი ცოლი ელისაბედი იყო და წმ. ანასი, რომელიც იყო დედა ყოვლად წმიდა ქალწული მარიამისა. ზაქარია და ელისაბედი იყვნენ მართალნი და ასრულებდნენ ღვთის სჯულს, მაგრამ მოხუცდნენ და შვილი ვი არ მიეცათ. უშვილობა ძალიან აწუხებდა მათ. იუდელები დიდ უბედურებად სთვლიდნენ უშვილობას; უშვილო ცოლ-ქმართ რცხვენოდნენ და მასთან იფიქრობდნენ, რომ მათზე ღმერთი იყო გაცისხებული. ამიტომ ზაქარია და ელისაბედი გულმოდგინედ ეკადრებოდნენ ღმერთსა, რომ მას მიეცა მათთვის შვილები. ბოლოს ღმერთმა შეისმინა მათი კედრება, მისცა მათ ძე, რომელიც შემდეგ შეიქმნა დიდი წინასწარმეტყველი და მქადაგებელი ღვთის ნებისა. იოანეს დაბადება შეიტყო ზაქარიამ სასწაულებრივი სახით.

ზაქარია და ელისაბედი ცხოვრებდნენ იუდეების ერთ ქალაქში. ეს ქალაქი მდებარეობდა მთებში და უმეტესად აქ ცხოვრებდნენ მკვლას შიამამაკალნი შინნი. აქედან მკვდლები რიგ-რიგით დადიოდნენ ერთ-საღამომი იქაურ ტაძარში სამსახურებად. ერთხელ ზაქარია, თავისი რიგის დროს, შევიდა ტაძარში საგვევად. ხალხი ვი ლოცვილობდა ვაქეთ. უცრად ზაქარია იხილა ანგელოსი ღვთისა, მდგომარე ტრახეზის მარჯვენა მხრით. ზაქარია შეკრთა, მაგრამ ანგელოსმა რქვა მასს: «ნუ გეშინიან, ზაქარია, რამეთუ შეისმინეს კედრებასნი შენნი, და ცოლმან შენმან ელისაბედ გიშვას შენ ძე და უწოდე სახელი მისი იოანეს; და იყოს შენ და მხირულება, და მრავალთა შობასა მისსა განისაზღო, რამეთუ იყოს დიდ წინაშე უფლისა, და ღვიზო და თაფრუჭი არა სკას და სულითა წმიდითა აღივსოს მიერეკედდის მუცლით მისითგან. და მრავალნი ძეთა ისრაილისათაგანნი მოაქცენეს უფლისა მღვთასა მათისა. და იგი თავადი შირველად განვიდეს წინაშე მისსა სულითა და ძალითა ილისითა, მოქცევად გული მამათანი შვილთა მიმართ, და უჩნნი გონებითა მართალთათა განმზადებად უფლისა ერთი მომზადებული».

ზაქარიას გაუგვირდა ეს სიტყვები და ეჭვით რქვა ანგელოსს: «რითა ვსცნა ესე? რამეთუ მე მოხუცებული ვარ, და ცოლი ჩემი სრულ არს დღეთა მისთა». ანგელოსმა მიუგო: «მე ვარ ვაბრეელ წინაშე მდგომელი შირსა ღმრთისასა, და მოვივლინე სიტყვად შენდა და სარებად ამას. და აჴა, იყო, შენ დადუმებულ და ვერ შემიძლებელ სიტყვად, ვიდრე დღემდე ყოფად ამისა, ამისთვის, რამეთუ არა გრწმენეს სიტყვანი ჩემნი, რომელნი აღესრულენ ყამსა თვისსა».



ანგელოზი დაიბადა, და ზაქარია გამოვიდა ხალხ-
თან, რომელსაც უკვირდა, ზაქარიას დაგვიანება ტახტში.
ზაქარიამ ვერ შესძლო სიტყვის თქმა, რადგან შიშ-
რად დამუნჯდა; ამის გამო ეველანი მიხედენ, რომ მან
იხილა რაიმე ჩვენება. როცა ზაქარიამ გაათავა თავისი
სამსახურის ვადა, იგი დაბრუნდა ხალხში. ამ ხილვის
შემდეგ ზაქარიას ცოლი მალე დაიბრუნდა და მადლო-
ბით აქებდა უფალს, რომელმაც გამოაჩინა მასზე მისი
მოწყალება.

როცა ამ შემთხვევის შემდეგ გავიდა ექვსი თთვე,
იგივე ანგელოზი გაბრედი მივლინებულ იქმნა ღვთის-
გან ქალაქ ნაზრეთში, რათა ესაუბრა იქ მცხოვრებ
ქალწულ მარიამსთვის, რომ იგი იტვირთებდა მუ-
ცელს შინა თვისსა მცხოვრებს ჩვენსა იესო ქრისტეს.
ანგელოზმა რქა მას ელისაბედზედაც, რომელიც, რო-
გორც ზემოთ მოვიხსენეთ, იყო მარიამის ნათესავი.
უკვლად წმიდა ქალწულმა მარიამმა, ანგელოზის წასვლის
შემდეგ, მამინეკე გასწია ელისაბედთან მთიანს ქვეყანაში.
როცა მარიამი შესვდა ელისაბედს და მოიკითხა, ყრმა
კრთებოდა მუცელსა შინა ელისაბედისა, და მან, აღივსო
რ სული წმიდით, უთხრა მარიამს თვით ის სიტყვები,
რომელსაც ჩვენ ვიმეორებთ ღვთისმშობლის ღოგნაში:
«კურთხეულ ხარ, შენ, დედათა შორის და კურთხეულ არს
ნათესავი მუცელისა შენისა; და ვინა ჩემდე ესე, რათა
მოვიდეს დედა უფლისა ჩემისა ჩემდა?» ეს სიტყვები
შთაბრუნებულნი ქონდა ელისაბედს სული წმიდისაგან,
თორემ არ შეეძლო შეეტყო, რომ უკვლად წმიდა
ქალწულს მარიამს ახარა ანგელოზმა. მარიამმა მიუგო
მას: «ადიდებს სული ჩემი უფალსა, და განიხარა სულ-
მან ჩემმან ღმრთისა მიმართ, მცხოვრებისა ჩემისა: რამეთუ
მოხედნა სიმდაბლესა ზედა მსკელისა თვისისა, რამეთუ
აჲს ესერა, ამიერიტგან მნატრიდენ მე უკვლანი ნათე-
სავნი, რამეთუ ჭეო ჩემთანა დიდებული ძლიერმან; და
წმიდა არს სახელი მისი; და წყალობა მისი ნათესავითი
ნათესავამდე მომიშთა მისთა ზედა».

მარიამი დარჩა თავის ბიცოლასთან სამი თთვე
და შემდეგ დაბრუნდა თავის ხალხში. ელისაბედმა მალე
შობა შეიღო. მეგობარნი და მონათესავენი სარობდენ
ელისაბედთან ერთად. მერვე დღეს სახელი უნდა დაერ-
ქმათ ემაწვილისათვის. ეველანი უჩვენდენ დაერქმით
ყრმისათვის მამის სახელი, მაგრამ ელისაბედმა სთქვა:
«არა, არამედ ეწოდოს ძეგას იოანე». — «კითარმედ არა-
ვინ არს ნათესავსა შენსა, რომელსა ჰქვიან სახელი ეგე»,
უთხრეს ელისაბედს ნათესავებმა; შემდეგ ხელით ანიშ-

ნეს იოანეს, თუ რა სახელი უნდოდა დაერქმია მასს
თავის შეიღისათვის. ზაქარიამ აიღო პატარა ფიტარი და
მასზე დასწერა: «იოანე არს სახელი მისი». ამავე წამს
მან ამოიღო ენა და დაიწყო კურთხევა ღვთისა და იწი-
ნისწარმეტყველა ემაწვილის მომავალ ბედზე. სხვათა
შორის მან რქა: «და შენ, ყრმაო, წინასწარმეტყველ
მადლისა იწოდო, რამეთუ წარსმდე შენ წინაშე ზარსა
უფლისასა განმზადებდა გზათა მისთა, მიცემად მეცნიე-
რება ცხოვრებისა ერსა თვისსა მოტყუებითა ცოდვითა
მათთათა. მოწყალებითა ჩუალობისა ღმრთისა ჩვენისათა,
რომელთა მიერ მომხედნა ჩვენ აღმოსავლმან მადლით,
გამოჩინებდა მათზედა, რომელნი სხედან ბნელსა შინა
და აჩრდილთა სიკვდილისათა, და წარმართებდა ფეხთა
ჩვენთა გზასა მშვიდობისასა». იოანე წოდებულ იქმნა
წინამორბედად, რაიცა ნიშნავს წინა-მადელოს, ვინაიდან
იგი მოვიდა ქრისტეს წინად.

სმა იოანეს დაბადებაზე და უკველივე მასზე,
რაც მოხდა, გავრცელდა იუდელების ქვეყანაში და ისინი,
რომელთაც ესმათ, ერთი-ერთმანერთს ეუბნებოდენ: «რა
იქმნება ყრმა ესე?»

ცოტა ხნის შემდეგ, ბეთლემში დაიბადა მცხო-
ვარი ჩვენი იესო ქრისტე. ამ დროს იუდელების ქვეყა-
ნა იმყოფებოდა რომაელთ ხელში, რომელთაგან ამ
ქვეყნის მმართველად დანიშნული იყო იროდე, მეფე
ბორროტი და ფიცხელი. იროდემ გაიგო ქრისტეს
დაბადება მოგვითგან, რომელნიც უწოდებდენ იესოს
იუდელების მეფეს. როცა იროდემ გაიგონა ბრძენთა
სიტყვები, და იცოდა რა, რომ იესო შთამომავალია მე-
ფე დავითისა, შეეშინდა, რომ ყრმამ, როცა მო-
იზრდება, არ წაართვას მასს სამეფო. ამიტომ მან გა-
ნიზარსა საოცარი ბორროტება და ბრძანა, რომ ბეთ-
ლემში და მის ახლო-მასლო ადგილებში ამოეწვიტათ
შვილები გაუბი სხით ორ წელზე ნაკლებნი. ამ სახით უნ-
და დაღუბულიყო ყრმა იოანეც, რომელიც ამ დროს
იყო წელიწად ხანკერისა.

ზეპირ-გადმოცემა მოგვითხრობს, რომ, როცა
ბეთლემში დაიწვეს ემაწვილების ყლეტა, ელისაბედი თავის
შვილით გაიქცა მთებში. როცა, იროდეეს მხედრები მი-

ვიდნენ ზაქარიას სახლში, ვერაინ ვერ ნახეს მასში. ზაქარია ამ დროს იერუსალიმის ტაძარში იყო სამსახურებლად. მზედრებმა დათვალეიერეს სახლი, შემდეგ წავიდნენ ახლო-მასლო ადგილებში ურმის სამკენად. მთი-დამ კლისაბუდმა დაინახა მსედრები და შეშინებულმა დაი-ყვირა: «მთა ღვთისა, მიიღე დედა ურმით!» და მთამ, გაიხსნა წა, მისცა მათ თავ-შესაფარი.

მსედრები მოხრუნდნენ მეუკესთან და მოასხუნეს, რომ მათ ვერ აზრავს ურმა. მეუკემ გააგზავნა კაცი ზაქარიას-თან საკითხავად, თუ სად არის მისი ურმა. ზაქარიამ მიუ-გო: მე ეს რამდენიმე დღეა ტაძარში ვმსახურებ, და ამიტომ არ ვიცი, სად არის ჩემი ურმა. მაგრამ ირ-დე არ დაეკარგებოდა ამ წასუნით და ხელ-ასლავ ბა-მოუგზავნა მასს მსედრები, რომელთაც უბრძანა მოეკლათ ზაქარია, თუ იგი არ მისცემდა მათ ურმას. მსედრები მივიდნენ ტაძარში და უთხრეს ზაქარიას: «სად დამალე შენ შერი ძე? მოგვეცე იგი ჩვენ, თორემ შენ თვითონ მოგვკლავთ». — «თქვენ მოგვკლავთ ჩემს სსუელს, მიუგო ზაქარიამ, — ხალხ უფალი მიიღებს ჩემს სუელს». მასინ მსედრები ეცნენ ზაქარიას და მოგვკლეს იგი ტაძარსა და საეუფთხეკელის შორის.

ამ დროს კლისაბუდი ურმით იმალებოდა მთის გა-მოქვაბულში. იგი უგემ მოხუცებული იყო და ძლივს-ძლი-ობით შობდა საზრდოს. ზებირ-გადმოცემა მო-გვიტონრახს, რომ, ღვთის მოწყალებით, გამოქვაბულის მასლობლად გამოჩნდა წყარო, რომლის ზემოთ აღმო-ცენდა სურმის სე, რომელიც დაფარული იყო ხალით. როცა დედას და მას ურმას საზრდო მოუნდებოდათ, ხე თვითონ იღუნებოდა, საზრდოებდა დედა-შვილს თავის ხაყოფით და ხელ-ასლავ აიწყოდა ზემოთ, მაგრამ: კლი-საბუდს დიდხანს არ უცხვრავია ამ გამოქვაბულში: იგი ამ გამოქვაბულში გარდაიცვალა მეორმოცე დღეზე შემ-დეგ ზაქარიას გარდაცვალებისა, ხალხ ურმა იოანხე მარტვა დარჩა უდაზნოში. მაგრამ ღვთის მადლი იფა-რავდა მასს, უმარვილი იზრდებოდა, მტკიცდებოდა სულითა და ცხვრებდა უდაზნოში, ვინემ არ გამოეცხვდა თავის სახსს.

იოანხეს სასწაულებრივ ცხვრებაზე ნათქვამი იქ-ნება მეორე ადგილს.

ზ ა ნ ც ხ ა დ მ ბ ა .

ზანკარგულებითა ყ—დ უსამღვდელოესის ბუ-რია-მინგრელიის ეპისკოპოსის ბრიგორისა 16 გა-სრულის მაისილამ №1274, თანახმად თვისი თხო-ვნისა, მე გარდაყენელ ვიქმენ ბლალოჩინად, დაშო-რებული მარტვილის საბლალოჩინო მახრილამ, თა-ვის სამშობლო ალავერტის საბლალოჩინო მახრაში, გარნა ზოგიერთნი სასამართლოებილამ და აგრეთვე თანამდებობის პირთაგან, მე ძლიერ ხშირად მომდის მიწერ-მოწერანი მარტვილის საბლალოჩინოსამებრ, ხოლო ჩემდამო წარმოსავზაენნი საქმის ქალაღდები მიუღდისო სხვა ბლალოჩინებთ, რომლისა გამო საქმის წარმოება ძლიერ გვიანდება და მძიმდება ერთი მეო-რისადმი გარდაცემა, რომლის გამო ვრცელდება უბრალო მიწერ-მოწერა. განსარინებელად ყველა ამ გეარ სიმძიმისა უმორჩილესად მაქვს პატივი გამოუ-ცხადო საცნობლად ყველა იმ სასამართლოებისა და თანამდებობისა პირთა, ვისაც შეეცება მიწერ-მოწერა ალავერტის საბლალოჩინო მახრის ეკლესიებთა და სამღვდელოებთამებრ, ჩემთან გამოგზაენიდენ ყოველ გეარ ჩემდამო შესახებს საქმეებს შემდგომის აღრე-სით... Въ Ново-Сенаки, благочинному Алавердскаго благочинническаго Округа свящ. Георгию Беридзе.

ალავერტის საბლალოჩინო მახრა შესდგება შემ-დეგთა სოფლის ეკლესიებთაგან: 1) ალავერდი, 2) შოცხო, 3) მოხაში, 4) მეორე შოცხო, 5) ძვაუთი, 6) ბურძემი, 7) მეორე ბურძემი, 8) ნა-მიკოლო, 9) მარგამეული, 10) მამაკონი, 11) მეორე მამაკონი, 12) ძიწია, 13) მეორე ძიწია, 14) ღოშავე, 15) სალხინო, 16) ჭახურუ, 17) ეწერი, 18) ბაღდა, 19) კურხუ, 20) ბაღოგანი და 21) ნათიხხოუ.

ბლალოჩინი მღვდელი ზ. ბერიძე.

შინაანსა: მღვდლას ავტორიტეტი (პატივი და გავლენა). — იმერეთის სამღვდელოების დეპუტატთა კრება ქ. ქუთაისში. — ათონის იოანხე ღვთის-მეტყველის ქართ-ველთა საჯანის ძმთა რიცხვი. — მღვდლები იხგლისში. — საისტორიო მასალა. — დრამატუკ მეცნიერება თუ ხე-ლოცება — სახლი ამბები და შეხიშვნება. — სიტყვა, თქმუ-ლი მისა მღვდ ყოვლად უსამღვდელოესობის, ზაქართვე-ლოს ექსარხოსის ზაღჯანდისძიერ. — ცხვრება დიხსთა ზაქარიასა და კლისაბუდისა. — განცხადება.